საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1278/01
03/02/2020

1278-01-2-202002031530

**შპს „ბეთლემი-2011“-ის დირექტორს**
**ბატონ თენგიზ ბაკურიძეს**
**მის:** *ქ. ბათუმი, ა. შანიძის ქ. N 14ა*

ბატონო თენგიზ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 6 იანვრის №58 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში შპს „ბეთლემი-2011“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ადმინისტრაცია გეგმავს ცემენტის საწარმოს წარმოების გაზრდას, კერძოდ წელიწადში 20000 ტონა პორტლანდცემენტის ნაცვლად გათვალისწინებულია 60000 ტონა მარკა-„300“ და მარკა-„400“ პორტლანდცემენტის წარმოება, ხოლო აღნიშნული მიღწეული იქნება საწარმოს სამუშაო საათების გაზრდით, ანუ საწარმო იმუშავებს 24 საათიანი (3 ცვლა) სამუშაო რეჟიმით, 310 სამუშაო დღით წელიწადში. 2019 წლის 18 დეკემბერს შპს „ბეთლემი-2011“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით (ბრძანება N2-1232), წარმოების პროცესში გათვალისწინებული დანადგარის (წისქვილის) წარმადობაა 10 ტონა საათში. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული დანადგარის წარმადობისა (რომელიც, როგორც სკრინინგის განცხადებით დგინდება არ იცვლება) და ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაო გრაფიკით წელიწადში 60000 ტონა პორტლანდცემენტის მიღების საკითხი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია დანადგარის წარმადობის და საწარმოს სამუშაო გრაფიკის შესახებ.

გარდა ამისა, წარმოდგენილი განცხადების მიხედვით, „უცვლელი რჩება ტერიტორიაზე განთავსებული სხვა (სასაქონლო ბეტონის, ქვა-ღორღის გადამამუშავებელი და საკედლე ბლოკების) საამქროების მუშაობის გრაფიკი, ანუ საამქროების გრაფიკი განისაზღვრება 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით, 210 სამუშაო დღეებით წელიწადში“. თუმცა, გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით ბეტონის კვანძის სამუშაო გრაფიკი განისაზღვრა წელიწადში 180 სამუშაო დღით და 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით, ხოლო სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს წარმადობა 260 სამუშაო დღითა და 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის რაოდენობების შესახებ. საწარმოს სიმძლავრის ზრდის გათვალისწინებით, ინფორმაცია ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირების სიხშირის გაზრდისა და აღნიშნული დატვირთვით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ.

საწარმოს სიმძლავრის გაზრდის გათვალისწინებით, განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენა სამინისტროში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული ინფორმაცია, რათა სამინისტრომ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი სკრინინგის პროცედურის განხორციელება.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე